საქსტატი

www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

# 2017

ივლისი

21.08.2017

www.geostat.ge

21.08.2017

## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

### *2017 წლის ივლისი*

2017 წლის ივლისში **სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა** ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 10,7 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

**2017 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით** ფასები 0,9 პროცენტით გაიზარდა **ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე**, რაც ინდექსის მთლიან მაჩვენებელში 0,13 პროცენტული პუნქტით აისახა. **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე** ფასების 1,1 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

**გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასებმა მოიმატა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (3,2 პროცენტი), ხოლო კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე ფასები შემცირდა (-0,7 პროცენტი).

**12 თვიან პერიოდში** ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 11,0 პროცენტით და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 9,05 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (31,4 პროცენტი) და კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (9,8 პროცენტი);

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** ფასები გაიზარდა 9,4 პროცენტით, რამაც 1,31 პროცენტული პუნქტი შეიტანა მთლიანი ინდექსის ცვლილებაში;

- **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 9,7 პროცენტით, რაც 0,39 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

## სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

*2017 წლის ივლისი*

| კოდი | ჯგუფები | 2017 წლის ივნისთან | წვლილი[1] თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში | 2016 წლის ივლისთან | წვლილი[1] წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|---|---|
| | **სულ** | **100.1** | **0.15** | **110.7** | **10.74** |
| **C** | **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია** | **101.1** | **0.05** | **109.7** | **0.39** |
| CA | ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი | 100.7 | 0.00 | 92.9 | -0.04 |
| CB | ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია | 101.2 | 0.04 | 113.1 | 0.43 |
| **D** | **გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **100.0** | **-0.03** | **111.0** | **9.05** |
| DA | კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი | 99.3 | -0.28 | 109.8 | 3.85 |
| DB | ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი | 101.0 | 0.02 | 103.2 | 0.02 |
| DC | ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან | 100.3 | 0.00 | 94.7 | -0.03 |
| DD | მერქანი და მერქნის ნაწარმი | 100.9 | 0.01 | 95.3 | -0.06 |
| DE | ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება | 100.1 | 0.00 | 102.8 | 0.06 |
| DF | კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი | 84.7 | -0.04 | ... | -0.01 |
| DG | ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები | 98.5 | -0.09 | 97.9 | -0.14 |
| DH | რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი | 97.9 | -0.06 | 104.8 | 0.13 |
| DI | სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი | 99.5 | -0.05 | 102.4 | 0.24 |
| DJ | ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი | 103.2 | 0.43 | 131.4 | 4.59 |
| DK | მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 103.9 | 0.02 | 98.7 | 0.02 |
| DL | ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები | 100.1 | 0.00 | 134.1 | 0.29 |
| DM | სატრანსპორტო მოწყობილობები | 100.1 | 0.00 | 102.1 | 0.04 |
| DN | სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 99.8 | 0.00 | 102.9 | 0.05 |
| **E** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი** | **100.9** | **0.13** | **109.4** | **1.31** |

[1] რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**
*(წინა თვე = 100)*




**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**
*(წინა წლის შესაბამისი თვე =100)*




**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**
*(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)*




საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (409)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: gtetrauli@geostat.ge